



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ირემახოჭო



ირემახოჭო

ირემახოჭო (*Lucanus cervus* Linnaeus, 1758), მწერი ხეშეშფრთიანების რიგისა (Coleoptera), რქოვანების (Lucanidae) ოჯახისა. სიგრძე 25-75 მმ, თათები ხუთნაწევრიანია. მამრს აქვს დიდი ზომის ზედა ყბები (მანდიბულები), რ-ებიც ირმის რქებს ჰგავს. მდედრის სხეულის ფრთების ზედა ნაწილი მურა-შავია.

გავრცელებულია დას. ხმელთაშუაზღვისპირეთში, ევროპის ფართოფოთლოვან ტყეებში, ტყე-ველისა და ველის ზონაში, გვხვდება ჩრდ. აფრიკაშიც. საქართველოში გავრცელებულია შედარებით მცირე ზომის იბერიული ი. (*L. c. ibericus*), რ-იც ბინადრობს ფოთლოვან, განსაკუთრებით მუხის ტყეებში დას., აღმ. და სამხრ. საქართველოში. ხოჭოს მატლები იზრდებიან (5-6 წელი) მუხის, იფნისა და მსხლის მკვდარ ფესვებში. ხოჭოები გამოდიან მაისში, ფრენენ და ბინდებისას (განსაკუთრებით მამრები). კვერცხების დადების შემდეგ მათი ძირითადი ნაწილი იღუპება, ერთეულები აღწევენ ნოემბრამდე. იკვებებიან დაზიანებული ხეების წვენით.

**ი. სხირტლაძე**

---